სპეციალური და ინკლუზიური განათლების განვითარების ეფექტიანი სისტემის დანერგვა

ანა ალიმბარაშვილი

ნანა აფციაური

მარიამ კავლელიშვილი

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი , 2021 წელი

განაცხადი

‘’წინამდებარე სამაგისტრო კვლევის ავტორები ვაცხადებთ, რომ აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს , გამოყენებული ლიტერატურა და მასალები დამოწმებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილით’’.

ანა ალიმბარაშილი

ნანა აფციაური

მარიამ კავლელიშვილი

25.06.2021

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს, რომელიც ჩატარდა სსიპ - ქალაქ თბილისის N186 საჯარო სკოლაში, ილიას უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ.

მასში წარმოდგენილია სპეციალური და ინკლუზიური განათლების განვითარების ეფექტიანი სისტემის დანერგვისთვის საჭირო მექანიზმები აღნიშნული სკოლის ბაზაზე. ასევე, გაზიარებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროება და მნიშვნელობა, რომელიც ხელს შეუწყობს ინკლუზიური განათლების ეფექტიანი სისტემის განვითარებას.

კვლევის საწყის ეტაპზე დაიგეგმა და განხორციელდა ინტერვიუები როგორც დისტანციურ ფორმატში ასევე პირისპირ შეხვედრების მეშვეობით, რათა გამოგვეკვეთა არსებული საჭიროებები. ამის შემდგომ საკვლევ კომისიასთან ერთად შევჯერდით კვლევის თემაზე, ჩამოვაყალიბეთ საკვლევი კითხვები და დავიწყეთ სკოლის საჭიროებების კვლევა.

კვლევის დიაგნოსტიკური ეტაპის შედეგების გათვალისწინებით, ძირითად პრობლემად გამოიკვეთა მასწავლებელთა პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობა ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში.

ინტერვენციები განხორციელდა სკოლის ადმინისტრაციის აქტიური ჩართულობით და მიზნად ისახავდა, როგორც საგნის, ასევე სპეც. მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას, სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და სსსმ მოსწავლეების ინტეგრაციის გაზრდას სასწავლო პროცესში.

კვლევაში მონაწილეობდნენ სსიპ-ქალაქ თბილისის N186 საჯარო სკოლის სპეც. მასწავლებლები, საგნის მასწავლებლები, დამხმარე ასისტენტები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. კვლევის ფარგლებში შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარებათ სპეც. მასწავლებლებს პიროვნულ/ პროფესიულ განვითარებაში.

კვლევის ანგარიში საინტერესო იქნება აღნიშნული საკითხით დაინტერესებული სხვა სკოლებისთვის, სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურებისთვის და განათლების სფეროში მოღვაწე სხვა ორგანიზაციებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, პრაქტიკის კვლევა, სსსმ მოსწავლე, ეროვნული სასწავლო გეგმა, ინტერაქციული სავარჯიშო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ისგ ჯგუფი

Abstract

The master's thesis is a report of a practice research conducted in LEPL #186 public school of Tbilisi, by the students of the Master's program in Education Administration at Ilia State University. It represents the necessary mechanisms for the implementation of an effective system for the development of special and inclusive education on the basis of the selected school. Besides, it includes the need and importance of professional development of teachers, which will contribute to the development of an effective system for inclusive education.

At the initial stage of research were planned online interviews as well as face to face meetings. After that, we agreed with the research commission on the research topic, formulated the research topic and started study of the needs of the school.

Based on the results of the diagnostic stage, the main problem was the lack of practical experience of teachers in relation to the principles of inclusive education.

The interventions were carried out with the active involvement of the school administration and were targetted to professional development of the subject and special teachers, raising the awareness of the school community and increasing the integration of CWSN in the learning process.

In the presented research were involved Special Teachers, subject teachers, assistants and administration representatives from the #186 public school. As part of the research, we have elaborated recommendations to help special teachers in personal and professional development.

The research report will be interesting for other schools interested in the issue, relevant governmental bodies, and other organizations operating in the educational field.

Keywords: Inclusive education, practice research, Children with Special Needs, National educational plan, interactive exercise, Teacher's professional development, individual educational plan.

მადლობა

მადლობას ვუხდით სსიპ ქალაქ თბილისის #186 საჯარო სკოლის ადმინისტრაციას და მასწავლებლებს კვლევის პროცესის საინტერესოდ წარმართვისა და თანამშრომლობისთვის. განსაკუთრებული მადლობა დირექტორს ქალბატონ თამარ მამსიკაშვილს, დირექტორის მოადგილეს თინათინ ჩხიკვაძესა და ისგ ჯგუფის კოორდინატორს ინგა გორგაძეს.

მადლობა კვლევის აკადემიურ ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ბატონ გიორგი გახელაძეს.